ბრალდების უცვლელობის პრინციპი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში და საერთაშორისო ასპექტები

თამრიკო მოწაფია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესიკ ქვარცხავა, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამრიკო მოწაფია, თ.მოწაფია, 24.06.2024

აბსტრაქტი

2010 წელს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით, ქართული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ახალ რელსებზე გადავიდა და მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, კერძოდ ინკვიზიციური მოდელი სრულად ჩაანაცვლა შეჯიბრებითმა მოდელმა, რომელიც ეფუძნება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. ამის შედეგად კი მოსამართლის როლიც შეიცვალა და ის გახდა დამოუკიდებელი არბიტრი. მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებებისა მაინც დარჩა საპროცესო კოდექსში პრობლემური მუხლები, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე წინააღმდეგობაში მოდის შეჯიბრებითობის პრინციპთან მიმართებით. კერძოდ აქ იგულისხმება ის შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე თავისი ინიციატივთ ახორციელებს ბრალდების გადაკვალიფიცირებას დაცვის მხარის შუამდგომლობის გარეშე.

ნაშრომში განხილული იქნება ბრალდების უცვლელობის არსი და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყურადღება დაეთმობა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის განხილვას, ასევე მიმოხილული იქნება ისტორიული ექსკურსი. კვლევაში ასევე მოხსენიებული იქნება ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიდგომები და სხვადსხვა ქვეყნების მაგალითები ბრალდების შეცვლასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ,,გადაკვალიფიცირება“, ,,მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი“, ,,ბრალდებულის უფლება“, ,,განაჩენი“.

Abstract

With the adoption of the new Criminal Procedure Code in 2010, Georgian criminal legislation has moved to new tracks and has undergone significant changes, in particular, the inquisitorial model has been completely replaced by the competitive model, which is based on the principle of equality and adversarial relations of the parties. As a result, the role of the judge also changed and he became an independent arbitrator. Despite significant changes, problematic articles remained in the procedural code, which, due to their content, contradict the adversarial principle. In particular, it means the case when the judge, on his initiative, re-classifies the charges without the solicitation of the defense side.

The paper will discuss the essence of the immutability of the charge and its advantages and disadvantages. Attention will be paid to the consideration of the principle of adversarial and equality, as well as the historical excursion will be reviewed. The study will also mention the approaches of the human rights court and examples of different countries regarding the change of charges.

Keywords:“ reclassification“,“ adversarial and equality principle of the parties“, "defendant's right", "judgment".